ფუტკრისნაირთა (Hymenoptera, Apoidea) განაწილება სიმაღლებრივი გრადიენტის მიხედვით დიდი (სტეფანწმინდის მიდამოები) და მცირე (გოდერძის უღელტეხილი) კავკასიონის კალთებზე

ანგელინა გადელია

ელ-ფოსტა: Angelina.Gadelia154@ens.tsu.edu.ge

ბიოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ანოტაცია

ფუტკრები მწერთა (Insecta) კლასის, სიფრიფანაფრთიანთა (Hymenoptera) რიგს მიეკუთვნებიან. ფუტკრები ქვერიგ Apocrita-ს და ზეოჯახ Apoiodea-შია გაერთიანებული. თანამედროვე კლასიფიკაციით ცნობილია ფუტკრისნაირთა 9 ოჯახი. ფუტკრები მფრინავი მწერებია. იშვიათია სახეობები, რომელთა სხვადასხვა სქესის ან კლასის წარმომადგენლებს მოკლე ფრთები გააჩნიათ, რის გამოც ისინი ძნელად ან საერთოდ ვერ დაფრინავენ. მაგრამ ფუტკართა უფრთო ფორმები ბუნებაში არ არსებობს.

უმნიშვნელოვანესია ფუტკრისნაირების როლი მცენარეთა დამტვერვის პროცესში. მწერთა ამ ჯგუფის რიცხოვნობის კლება მნიშვნელოვნად ამცირებს არა მხოლოდ აგროკულტურების პროდუქტიულობას, არამედ ბუნებრივ ეკოსისტემებში მოზარდი ყვავილოვანი მცენარეების განაყოფიერება-გამრავლების პროცესსაც.

აპიდოფაუნის შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც მსოფლიო მასშტაბით შეინიშნება გარეულ ფუტკრისნაირთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება. ამჟამად, ეს გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემადაა მიჩნეული და როგორც სხვადასხვა ქვეყნის აპიდოლოგები, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები მათი, როგორც მთავარი დამმტვერავებლების კონსერვაციისათვის აუცილებელ და ეფექტურ პროექტებს ახორციელებენ.

მიუხედავად ადრე ჩატარებული კვლევებისა, ფუტკრისნაირები (Hymenoptera, Apoidea) დიდი (სტეფანწმინდას მიდამოები) და მცირე (გოდერძის უღელტეხილი) კავკასიონის კალთებზე მწირედ არიან შესწავლილი, და რაც არსებითია, არ გვაქვს უახლესი სამეცნიერო მონაცემები.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა სტეფანწმინდისა და გოდერძის უღელტეხილის ძირითად ჰაბიტატთა აპიდოფაუნა; თანამედროვე სისტემატიკური ნომენკლატურის თვალსაზრისით დაგვედგინა ფაუნის ტაქსონომიური სტრუქტურა და გამოგვეკვლია მწერთა ამ ჯგუფის ბიოეკოლოგიის საკითხები.

ჩვენს მიერ განხორციელებული საველე ექსპედიციების შედეგად საკვლევ ტერიტორიაზე აღებულ იქნა ფუტკრისნაირების 290 ეგზემპლარი.

შესწავლილი ფაუნა მიეკუთვნება ფუტკრისნაირთა 6 ოჯახს, 14 გვარსა და 41 სახეობას. 13 სახეობა პირველად იდენტიფიცირდა ხულო-გოდერძის ტრანსექტაზე, ხოლო 9 სახეობა გუდაური-სტეფანწმინდის საკვლევ ტერიტორიაზე. კვლევამ აჩვენა, რომ ფუტკრისნაირთა სახეობების განაწილებაში გეოგრაფიულ სიახლოვეზე მეტი მნიშვნელობა აქვს სიმაღლეს ზღვის დონიდან და შესაბამისად, მცენარეულ საფარს. განისაზღვრა მოპოვებული სახეობების კონსერვაციული სტატუსი. საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლინდა საქართველოს ფაუნისათვის 1 ახალი სახეობა - *Osmia ligurica*.